



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2013 წლის 16 დეკემბრის
 #1028 დადგენილებით
მოდირიცირებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2017 წლის 21 აპრილის
 # 2393 დადგენილებით

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

| |
|-------------|
| არქეოლოგია |
| Archaeology |

ფაკულტეტი

| |
|--|
| საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი |
| Faculty of engineering economics, media technology and social sciences |

პროგრამის ხელმძღვანელი

| |
|-------------------------|
| პროფესორი ნანა ხაზარაძე |
|-------------------------|

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

| |
|--|
| არქეოლოგიის დოქტორი (Doctor in Archaeology) <i>მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 180 კრედიტის შესრულების შემთხვევაში</i> |
|--|

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

| |
|-------------|
| 180 კრედიტი |
|-------------|

სწავლების ენა

| |
|---------|
| ქართული |
|---------|

პროგრამის მიზანი

| |
|---|
| არქეოლოგიური კვლევა ისტორიული მემკვიდრეობის მოძიების, ძველი სოციალური სისტემების ეკონომიკური დონისა და ურთიერთობების, რწმენა-წარმოდგენების თუ |
|---|

ტექნიკა-ტექნოლოგიების განვითარების სურათის აღდგენის უაღრესად სანდო და პრაქტიკულად უალტერნატივო გზას წარმოადგენს. არქეოლოგიური ძიება შესაბამის ინტერდისციპლინურ სპეციალურ განათლებას მოითხოვს. სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტულ დარგად აღიარებული (არქეოლოგიის) პროგრამის მიზანია პროფესიონალი სპეციალისტის მომზადება ძველ ცივილიზაციათა შემსწავლელ არქეოლოგიურ პროექტებში მონაწილეობისა და გადაწყვეტისათვის სფეროში არსებული იმ ურთულესი პრობლემებისა, რომლებიც დაკავშირებულია კულტურების ურთიერთმიმართების, ქრონოლოგია-პერიოდიზაციის, ინფილტრაცია-მიგრაციის, გავრცელების არელების, ეთნოგენეზის, უძრავი და მოძრავი ძეგლების კუთვნილების, ასევე არქეოლოგიური არტეფაქტების ეთნიკური, სოციალური და ტექნიკური ატრიბუციის თუ კონსერვაციის საკითხებთან.

პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 27 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონსტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება 3 წელი (6 სემესტრი) და მოიცავს 180 კრედიტს: სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი და კვლევითი კომპონენტი 120 კრედიტი.

პირველი წლის სასწავლო პროცესი (ორი სემესტრის 21-21 კვირა) გაწერილია შემდეგნაირად: ორი კვირა, კერძოდ VII და XIV, შუალედურ გამოცდებს ეთმობა. ესე იგი სწავლება და ორი შუალედური შეფასება ხორციელდება 17 კვირის (I-XVII) განმავლობაში. XVIII-დან XXI კვირის ჩათვლით ხორციელდება დასკვნითი და დამატებითი გამოცდები (დამატებითი გამოცდები ტარდება დასკვნითი გამოცდიდან 5 დღის შედეგ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტმა ვერ მიიღო 51 ქულა და საგანი არ ჩაეთვალა ჩაბარებულად, მაგრამ ამავე დროს აუცილებელია დაგროვილი ჰქონდეს 41 ქულა, რათა შეძლოს დამატებით გამოცდაზე გასვლა).

ამავე წელს დოქტორანტი ამზადებს ორი სადისერტაციო კვლევის პროექტ/პროსპექტუსს 1(10 კრედიტი) და სადისერტაციო კვლევის პროექტ/პროსპექტუსს 2 (20 კრედიტი). პროსპექტუსი ფასდება დოქტორანტის ხელმძღვანელის მიერ 6 კომპონენტის საფუძველზე მაქსიმუმ 100 ქულით.

მეორე წლის სასწავლო პროცესი ეთმობა ორი თემატური სემინარის მომზადებას. თითოეული თემატური სემინარის კრედიტების მოცულობა არის 15. დოქტორანტის თითოეული თემატური სემინარი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით, ორი შუალედური (30+30) და დასკვნითი (40) ქულების ჯამით.

ამავე წელს დოქტორანტი ამზადებს ორ -**თეორიულ/ექსპერიმენტულ კვლევას კოლოკვიუმი-1** (15 კრედიტი) და **თეორიული/ექსპერიმენტულ კვლევას კოლოკვიუმი -2** (15 კრედიტი).

მესამე წლის სასწავლო პროცესი ეთმობა თეორიული/ექსპერიმენტულ კვლევას **კოლოკვიუმი -3** (30 კრედიტი). **კოლოკვიუმი** ფასდება 6 კრიტერიუმის საფუძველზე. მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა.

დისერტაციის დასრულება და დაცვა (30კრედიტი) ფასდება მაქსიმალური 100 ქულით. დისერტაციას და მის საჯარო დაცვას აფასებს 7-9 კაცისაგან შემდგარი სადისერტაციო კოლეგია. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი იხილეთ შემდეგ მისამართზე:

http://gtu.ge/pdf/danarTi_3_Sefasebis_wesi_2.pdf

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე ჩაირიცხება მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციები; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.).

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ჩაუტარდება გასაუბრება დროებით საფაკულტეტო კომისიასთან, ასევე გამოცდა ერთ-ერთ უცხოურ ენაში (ინგლისურში, გერმანულში, ფრანგულში ან რუსულში).

პროგრამაზე მიღების წინაპირობები იქნება გამჭვირვალე. პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტებისათვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის უნივერსიტეტისა და ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ვებ-გვერდების მეშვეობით.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

ცოდნა და გაცნობიერება

- ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობის მოპოვების, დიაგნოსტიკის და დაცვის სფეროში მიმდინარე პროცესების ღრმა ცოდნა
- საველე და თეორიული არქეოლოგიისა და მომიჯნავე მეცნიერებების მიღწევებზე დაფუძნებული სიღრმისეული ცოდნა და პროფესიული სფეროს პრობლემის გადასაწყვეტად მისი გამოყენების გაცნობიერება
- კვლევის ობიექტთან დაკავშირებული მულტიდისციპლინური ინფორმაციის ანალიზი და სინთეზი
- კულტურული მემკვიდრეობის ინტერდისციპლინური კვლევის სფეროში მიმდინარე პროცესების ფუნდამენტური და სისტემური ცოდნა, რომლის გაფართოება-გადრმავება ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე)
- აკუმულირებული ცოდნის კრიტიკული გააზრება და ამ გზით მისი განახლებული ფარგლების გაცნობიერება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- ისტორიული მემკვიდრეობის მოძიების, კვლევის და კონსერვაციის სფეროში ახალი ანალიტიკური მეთოდების და მიდგომების შემუშავება და მეცნიერულ საქმიანობაში გამოყენება
- ინოვაციური ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული კვლევითი შედეგების მოპოვება და საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში ასახვა
- არქეოლოგიური ძეგლების კომპლექსური _ ისტორიულ-ტიპოლოგიური და ტექნიკა-ტექნოლოგიური ანალიზი
- საკვლევი პრობლემის ინტერპრეტირება ფართო კულტურულ კონტექსტში
- მეცნიერული ტექსტის სტრუქტურისა და ტიპოლოგიის ღრმა ცოდნის პროფესიულ საქმიანობაში მიზნობრივი გამოყენება.

დასკვნის უნარი

- საველე-არქეოლოგიური კვლევის სტრატეგიის განსაზღვრა
- კვლევის ობიექტის თუ დარგის სადისკუსიო პრობლემების გადაჭრის გზების პოვნა
- სამეცნიერო ნაშრომის შედეგების და წინააღმდეგობრივი პროფესიული თვალსაზრისებისა და მიდგომების კრიტიკული შეფასების საფუძველზე ახალი თუ ადეკვატური მეთოდოლოგიის შემუშავება
- სიძველეთა საკვლევი პრობლემის გადაჭრის გზაზე ადეკვატურ, ინოვაციურ მეთოდოლოგიაზე დამყარებული დასკვნითი დებულების შემუშავება.

კომუნიკაციის უნარი

- სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკის ხერხებით ოპერირება
- პოლიეთნიკურ საზოგადოებაში განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებთან კომუნიკაცია
- ახალი ცოდნის სპეციალურ და დარგთან დაკავშირებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა

- საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა.

სწავლის უნარი

- არქეოლოგიის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების, ტენდენციების განვითარებისათვის ახალი ცოდნის დაგროვების საჭიროების გაცნობიერება და დაგეგმვა
- ისტორიული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების და მიდგომების განვითარების ხელშეწყობა
- სწავლისა და სამეცნიერო საქმიანობისას ინოვაციური პროცესის განვითარების განჭვრეტა.

ღირებულებები

- მეცნიერული პროფესიული ეთიკის ნორმების ცოდნა და გათავისება
- პლაგიატის, მეცნიერული წყროების ხელყოფის, მკვლევართა პიროვნების შეურაცხყოფის გამოვლენისადმი უკიდურესად კრიტიკული დამოკიდებულება
- არქეოლოგიის მეცნიერების ღირებულებათა დამკვიდრების გზების ძიება და საამისოდ ინოვაციური მეთოდების შემუშავება
- ისტორიული მემკვიდრეობის დაცვის სფეროს პროფესიული ღირებულებების პოპულარიზაცია და მათი სრულყოფის მიზნით წარმოებულ კვლევებში მონაწილეობა.

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

- ლექცია
 პრაქტიკული
 სამეცნიერო-თემატური სემინარი
 კონსულტაცია
 დამოუკიდებელი მუშაობა
 კვლევითი კომპონენტი
 დისერტაციის გაფორმება
 დისერტაციის დაცვა

სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლის შემდეგი მეთოდები:

სწავლების მეთოდები:

1. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
2. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.
3. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.
4. **ანალიზის მეთოდი** – გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
5. **სინთეზის მეთოდი** – გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

6. **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.** ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

7. **წერითი მუშაობის მეთოდი** – რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

8. **ლაბორატორიული მეთოდი** – გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალის, დინამიკური ხასიათის მასალის ჩვენება და სხვ.

9. **პრაქტიკული მეთოდები** – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგალითად, საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, სავლე მუშაობა და სხვ.

10. **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

11. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

სტუდენტის ცოდნის შეფასება

სტუდენტის შეფასების მეთოდები პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით.

სასწავლო კომპონენტის შეფასება ხორციელდება ECTS შესაბამისად, 100 ქულიანი სისტემით. შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმების და სკალების აღწერა მოცემულია სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში).

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასების სისტემა:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ

ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

„ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს

გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

დასაქმების სფერო

არქეოლოგიური პროექტები, მუზეუმები, ჰუმანიტარული და ტექნიკური სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, საექსპერტო, კულტურულ-საგანმანათლებლო და სპეციალიზირებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;

შესაბამისი პროფილის სამთავრობო სტრუქტურები .

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით.

(იხ.დანათები)

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული ცენტრები, კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო ტექნიკური კვლევის – გეოლოგიის, მინერალოგიის, ძვირფასი და სანახელოვო ქვების დიაგნოსტიკის, გეოფიზიკის, ანალიზური ქიმიის, მასალათმცოდნეობის, მეტალოგრაფიული და ინფორმაციული ტექნოლოგიების – ლაბორატორიები. აგრეთვე, დოქტორანტის კვლევითი საქმიანობის სრულფასოვნად წარმართვისათვის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის სარესტავრაციო ტექნოლოგიის ლაბორატორიები.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.gtu.ge) განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს შესაბამისი ადამიანური რესურსი:

1. პროფესორი ნანა ხაზარაძე - ძველი მსოფლიოს ისტორია, არქეოლოგია, ძველი ენებისა და დამწერლობების ისტორია, ეთნოკულტურის ისტორია.
2. პროფესორი გივი ინანიშვილი - ისტორია, ლითონმცოდნეობა და არქეოლოგია.
3. პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი - მასკომუნიკაცია, ენათმეცნიერება, ფოლკლორისტიკა, თარგმანი.
4. პროფესორი ნოდარ ფოფორაძე - გეოარქეოლოგია და გემოლოგია-მინერალოგია.

საგანმანათლებლო პროგრამის სქემა

| № | საგნის კოდი | სასწავლო და კვლევითი კომპონენტები | I წელი | | II წელი | | III წელი | | სულ კრედიტები |
|-----------------------|----------------|---|------------|-------------|--------------|-------------|------------|-------------|---------------|
| | | | I სემესტრი | II სემესტრი | III სემესტრი | IV სემესტრი | V სემესტრი | VI სემესტრი | |
| | | სასწავლო კომპონენტი | 20 | 10 | 15 | 15 | | | 60 |
| 1 | SCTTM12GA 1 | სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა და სწავლების თანამედროვე მეთოდები | 5 | | | | | | 5 |
| 2 | SREMA12GA 1 | სამეცნიერო კვლევის მეთოდები არქეოლოგიაში | 5 | | | | | | 5 |
| 3 | INCU012GA1 | კულტურათა ინტერაქცია | 10 | | | | | | 10 |
| 4 | GEOAR03GA 1 | გეოარქეოლოგია | | 10 | | | | | 10 |
| 5 | - | პირველი თემატური სემინარი | | | 15 | | | | 15 |
| 6 | - | მეორე თემატური სემინარი | | | | 15 | | | 15 |
| | | კვლევითი კომპონენტი | 10 | 20 | 15 | 15 | 30 | 30 | 120 |
| 1 | - | სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი - 1 | 10 | | | | | | 10 |
| 2 | - | სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი - 2 | | 20 | | | | | 20 |
| 3 | - | თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი - 1 | | | 15 | | | | 15 |
| 4 | - | თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი - 2 | | | | 15 | | | 15 |
| 5 | - | თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი - 3 | | | | | 30 | | 30 |
| 6 | - | დისერტაციის დასრულება, დაცვა | | | | | | 30 | 30 |
| ECTS კრედიტები | | სემესტრში | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 180 |
| | | სასწავლო წელს | 60 | | 60 | | 60 | | 180 |

სწავლის შედეგების რუკა

| № | საგნის კოდი | საგანი | ცოდნა და გაცნობიერება | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | დასკვნის უნარი | კომუნიკაციის უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები |
|---|-------------|---|-----------------------|-------------------------------------|----------------|--------------------|---------------|--------------|
| 1 | SCTTM12GA1 | სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა და სწავლების თანამედროვე მეთოდები | X | X | X | X | X | X |
| 2 | SREMA12GA1 | სამეცნიერო კვლევის მეთოდები არქეოლოგიაში | X | X | X | X | X | |
| 3 | INCU012GA1 | კულტურათა ინტერაქცია | X | | X | X | | X |
| 4 | GEOAR03GA1 | გეოარქეოლოგია | X | X | X | | | |
| 5 | - | პირველი თემატური სემინარი | | X | X | X | | X |
| 6 | - | მეორე თემატური სემინარი | | X | X | X | | X |

პროგრამის სასწავლო გეგმა

| № | საგანი | საათები | ECIS კრედიტი/საათი | ლექცია | პრაქტიკული | შუალედური გამოცდა | დასკვნითი გამოცდა | დამოუკიდებელი მუშაობა |
|----|-------------|---|--------------------|--------|------------|-------------------|-------------------|-----------------------|
| 1. | SCTTM12 GA1 | სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა და სწავლების თანამედროვე მეთოდები | 5/135 | 45 | | 2 | 1 | 87 |
| 2. | SREMA12 GA1 | სამეცნიერო კვლევის მეთოდები არქეოლოგიაში | 5/135 | 15 | 30 | 2 | 1 | 87 |
| 3. | INCU012 GA1 | კულტურათა ინტერაქცია | 10/270 | 60 | | 2 | 1 | 207 |
| 4. | GEOAR03GA1 | გეოარქეოლოგია | 10/270 | 30 | 30 | 2 | 1 | 207 |

პროგრამის ხელმძღვანელი

ნანა ხაზარაძე

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის

ეკატერინე შაკიაშვილი

ფაკულტეტის დეკანი

ივანე ჯაგოდნიშვილი

მიღებულია

ბიზნეს-ინჟინერინგის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
2013 წლის 12 დეკემბერს

მოდულირებულია

საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
10.02.2017
ოქმი №4

ივანე ჯაგოდნიშვილი

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელი

გიორგი ძიძიგური